

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მამუკა გოგოლაშვილის ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაიცავს

თავის არეში მიძიდ დაჭრილი მამუკა გოგოლაშვილის დამ დასახმარებლად საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართა. გოგოლაშვილის ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან ოფიციალურ ვერსიას, რომლის თანახმადაც მამუკა გოგოლაშვილი საგზაო წესების დარღვევისთვის დააკავა საპატრულო პოლიციამ და ნარკოლოგიურ დისპანსერში გადაიყვანა. როგორც სამართალდამცველები აღნიშნავენ, მოგვიანებით მან თვითმკვლელობა სცადა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გოგოლაშვილის ოჯახის ნევრთა მტკიცებით, მამუკას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ესროლეს. ავტომანქანაში, სადაც ინციდენტი მოხდა, ორი ნატყვიარი აღმოჩნდა, დაჭრილს კი მხოლოდ ერთი ნატყვიარი აქვს.

ამჟამად მამუკა გოგოლაშვილი თბილისის მეხუთე საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. ექიმების განცხადებით დაჭრილის მდგომარეობა კვლავ კრიტიკულია. გამჭოლი ჭრილობა აქვს თავის არეში, ნიკაპიდან შუბლის მიმართულებით.

მამუკა გოგოლაშვილის ინტერესებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დაიცავს.